

## ე. თაყაიშვილი

### ვატიკანის გიგლიოთაქის ორი ქართული ხელნაწილი<sup>1</sup>

ქვემოთ მოყვანილი ცნობები ამ ორი ხელნაწერის შესახებ დამყარებულია ფოტო-სურათებზე, რომელნიც მივიღეთ რომიდან 1897 წლის მაისში. იმ დროს რუსეთის ელჩად რომში იყო გრაფი ტრუბეცკოი, ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწის მარიაშ ვახტანგის ასულის ჯამბაკურ-ორბელიანის კარგი ნაცნობი და მეგობარი. ჩემი თხოვნით მარიაშ ორბელიანმა მისწერა წერილი ტრუბეცკოის და სთხოვა გადმოეღო რამდენიმე ფოტოგრაფიული სურათი სამი ქართული ხელნაწერისა, რომელთა არსებობა ვატიკანის ბიბლიოთეკაში კარგა ხანია ცნობილი იყო.

#### I. სახარება. ევანგელის

მ. ორბელიანის წერილში, უპირველეს ყოვლისა, დასახელებული იყო, რა თქმა უნდა, სახარება, ხოლო ჩემ მიერ შედგენილ სიაში აღნუსხული იყო, თუ რა უნდა გადმოეღოთ ამ სახარებისა (ტექსტის დასაწყისი, კანონთა ფერადოვანი კამარები, მახარებელთა მინიატიურები — თუ კი აღმოჩნდებოდა —, თითოეული სახარების დასაწყისი და ბოლო, მინაწერები და სხვა სამკაულები). ტრუბეცკოიმ დავალემა ნაწილობრივ შეასრულა: ფერადოვანი კამარებიდან თოთხმეტის მაგიერ მარტო ერთი სურათი მივიღეთ; მახარებელთა მინიატიურები, ეტყობა, არ ყოფილა და არც ლუკა მახარებლის სახარების ტექსტი აღმოჩნდა, ალბათ ჰკლებია ხელნაწერს. სახარებიდან სულ 19 ფოტო-სურათი მოგვივიდა. სახარების ხუთი ფურცელი (ტაბ. 9, 13, 15, 16, 17) პალიმფსესტებს წარმოადგენს, ესე იგი ძველი ტექსტი გადარეცხილია და ზედ ახალი ტექსტია დაწერილი. ძველი ტექსტის ერთ ფურცელზე (ტაბ. 15) უცხო დამწერლობაა, სხვებზე კი ქართული. ერთ ფურცელზე (ტაბ. 9) ძველი ტექსტიდან საკმაოდ კარგად მოჩანს ვერტიკალურად დაწერილი ასომთავრულები: ქ, ს, დ, ხ, კ და სხვა.

<sup>1</sup> ვატიკანში მესამე ხელნაწერიც მოიპოვება, ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა დ წ ო დ ე ბ უ ლ ი მ ა გ რ ა მ , რ ო ვ ო რ ც გ ა ნ ს ვ ე ნ ე ბ უ ლ მ ა გ ი ო რ გ ი თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ მ ა გ ა დ მ ო ვ ე ც ა , ი გ ი თ უ რ მ ე ~~გ ა ნ ს ვ ე ნ ე ბ უ ლ ი მ ა~~ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ს ი ს ტ ო რ ი ა ს შ ე ი ც ა ვ ს .

სახარების ფორტოებზე ტექსტები და სურათები შემდეგი რიგითაა გადა-  
ლებული:

1. (1 r). ეპისტოლე ევსებისი კარპიანეს მიმართ. ნოთავესებულია ფერადით და მშვენიერად ოთხკუთხედში, რომლის ზემოთ ჯვარია და მარჯვნივ და მარცხნივ კი სურათები (ტაბ. 1).
2. (1 v). იმავე წერილის გაგრძელება, ისევე შემკობილი (ტაბ. 2).
3. (2 r). „კანონნი რომელსა ოთხთავნი იტყვიან“, ფერადოვანი სამკაულით (ჯვარი და სხვა სურათები). სულ 14 ყოფილა, მაგრამ ფორტოზე წარმოდგენილია მარტო პირველი (ტაბ. 3).
4. (9 r). წა სახარებაჲ: თავი მატთესი. ეს სათაური მოთავესებულია ლამაზად ნახელავი ფერადოვანი თავსართის ქვეშ. ტექსტი იწყება ფერადოვანი მეთაური ასო „წ“-ილით (წიგნი) (ტაბ. 4).
5. (10 r). მათეს სახარების გაგრძელება, დაწერილი ნუსხა-ხუცურით, ორ სვეტად (ტაბ. 5).
6. (16 v). იმავე სახარების გაგრძელება, ფერადოვანი მეთაური ასო „მ“-ანით (ტაბ. 6).
7. (92 v). შემდეგი დროის მინაწერები ნუსხა-ხუცურითა და მხედრულით, რომელნიც იხსენიებენ ბერს დავითს და მის შშობლებს (ტაბ. 7).
8. (92 r). მარკოზის სახარების დასაწყისი, რომელიც მოქცეულია ფერადოვანი თავსართის ქვეშ და იწყება ფერადოვანი მეთაური ასო „დ“-ონით; არის კიდევ ორი ფერადოვანი მეთაური ასო: „კ“-არი და „ი“-ნი. ტექსტი ნაწერია ორ სვეტად, ნუსხა-ხუცურით (ტაბ. 8).
9. (144 v). მარკოზის სახარების დასასრული, მერმინდელი მინაწერებით (ტაბ. 9).
10. (145 r). მარკოზის სახარების გაგრძელება (ტაბ. 10).
11. (222 v). ნუსხა-ხუცური მინაწერი, რომელიც იხსენიებს ალექსანდრე მეფეს (ტაბ. 11).
12. (223 r). იოანეს სახარების დასაწყისი. მოთავესებულია ლამაზი ფერადოვანი თავსართის ქვეშ. იწყება ფერადით შემკობილი მეთაური ასო „წ“-ილით. ტექსტი ორ სვეტად, ასომთავრულითაა ნაწერი და და მშვენიერებულია ფერადოვანი მეთაური ასოებით: „კ“-არით და „ი“-ნით (ტაბ. 12).
13. (279 r). იოანეს სახარების ბოლო, ფერადოვანი ბოლო სურათებით და მეთაური ასოებით, „ე“-ნითა და „დ“-ონით, შემკობილი. აქვეა სახარების გადამწერის მინაწერები (ტაბ. 13).
14. (279 v). დლიური საკითხავების სარჩევი ფერადოვანი თავსართი სურათითა და ფერადოვანი მეთაური ასოებით, „გ“-ანითა და „დ“-ონით (ტაბ. 14).
15. (300 v). მერმინდელი ნუსხა-ხუცური მინაწერი იონა ხერხეულიძისა (ტაბ. 15).
16. (301 v). დლიური საკითხავების გაგრძელება (ტაბ. 16).
17. (305 v). დლიური საკითხავების შემდეგი გაგრძელება (ტაბ. 17).

18. ნერმინდელი ნუსხა-ხუცური მინაწერი, პალატის მონასტრის მღვდლის გიორგისა (ტაბ. 18).

19. ნერმინდელი მინაწერები, მსხვილი ასომთავრულით (ტაბ. 19).

ახლა განვიხილოთ მინაწერები.

იოანე მახარებლის სახარების ბოლოს (ტაბ. 13) ტექსტისავე ხელით გადაწერის მიერ მიწერილია (მოგვყავს ქარაგმების გახსნით):

„დიდებაჲ შენდა უფალო, დაესრულა წმიდაჲ სახარებაჲ ოთხთავი კელითა უღირისა მიქელ დიაკონისაჲთა სულიერისა ძმისა კეთილისა ბერისა სვმეონისათჳს. ლმერთმან შეაწიენ წმიდანი მახარებელნი და აქმარენ ნებასა შინა ლმრთისასა წმიდაჲ ესე სახარებაჲ, ამინ. წმიდანო ლმრთისანო, კინისა შურომისათჳს (sic) ლოცვა ჰყავთ და რომელი დამეკლოს, შენდობა ყავთ. ლმერთმან გარწმუნოს და ქრისტემან თქუენცა შეგინდვენ ყოველნი ბრალნი, ამინ“.

ამრიგად, ხელნაწერის გადაწერი ყოფილა დიაკონი მიქელი, ხოლო „მომგები“ (შემძენელი ანუ შემკვეთელი) კეთილი ბერი სვმეონი. სამწუხაროდ, ამ მინაწერს თარიღი არა აქვს და გადაწერის დრო საძიებელია, მაგრამ ასომთავრული და ნუსხური დაწერილობის ხასიათი და უფრო მეტად კი ფერადით შემკობილი კანონის სტილი, მახარებელთა ტექსტების თავსართები და ბოლოსართები და აგრეთვე ფერადებიანი მეთაური ასოები ცხადყოფენ, რომ სახარება XI საუკუნეს ეკუთვნის, უფრო დანამდვილებით კი ბაგრატ IV დროს (1027—1072). ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ შევადარებთ ამ სახარებას იმავე დროის სხვა სახარებებს — მაგალითად, მესტიისას (1033 წლისა), რომლის სურათები და მინაწერთა ნიმუშები ფოტოგრაფიულად გადმოღებულია 1910 წელს ჩემი სვანეთში არქეოლოგიური ექსპედიციის დროს (იხ. ერმაკოვის კოლექციის სურათები №№ 17182, 17183, 17195 და 17207). ჩემს წიგნში „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმში და სვანეთში 1910 წელს“ (1938 წ.) ეს სახარება სრულადაა აღწერილი (279—282 გვ.).

პირველად სვმეონ ბერისათვის გადაწერილი სახარება, როგორც ეტყობა, შემდეგ შეუძენია პალატის მონასტრის მოძღვართ-მოძღვარს, მღვდელს გიორგის, რომელიც, ამრიგად, სახარების მეორე მომგებლად გვევლინება. ამის შესახებ ერთ-ერთ ფურცელზე გვაქვს ვრცელი ნუსხა-ხუცური მინაწერი (ტაბ. 18), რომელიც მოგვყავს, აგრეთვე ქარაგმების გახსნით.

„მე ყოველთა ადამის ტომთაგან უნარჩევსმან მ-  
 ლედელმან და საწყალობელმან, პალატის მო-  
 ნასტრისა მოძღვართ-მოძღვართა (sic) წოდებულმან  
 გიორგი მოვივე ჩემითა ალალითა სასყიდლ-  
 ითა წმიდაჲ ესე და სულთა განმანათლებელი  
 და უსასყიდლოჲ ოთხთავი, ყოვლითა საქმითა  
 შემკობილი, სალოცველად საწყალობელისა  
 და მწარედ ცოდვილისა სულისა ჩემისა და მშ-  
 ობელთა ჩემთათჳს და დღეგრძელობი-  
 სა და შენდობისა ჩემისა შვილისა და გაზრ-  
 დილისა მიქელისათჳს. წმიდანო ღვთისანო, თქვენ-  
 ისა მეუფისა მადლსა, ვინცა ნახოთ,  
 შენდობაჲ ბრძანეთ, რომელ საუკუნეთა ღმერთმან და  
 წმიდამან მშობელმან მისმან თქვენცა შეგინდვენს  
 და მოგანიქოს სასუფეველი ზეცათაჲ, ამინ: .  
 დავითს და მისთა ღვდმამათა შეუნდოს ღმერთმან,  
 მამას ჩემსა, მოძღვარსა გიორგის შეუნდოს ღმერთმან.  
 ამა წმიდათა ოთხთავთა მად-  
 ლითა სულსა დედისა ჩემისა სა-  
 დაგანისასა შეუნდოს ღმერთმან: .  
 მისთა ძეთა მარცალასა და მინდის  
 და მიქელს და იოანეს და მათეს შეუნდოს ღმერთმან: .“

ამ მეორე მომგებლისა თუ კიდევ სხვის შემდეგ სახარება არხალის ღვთის-  
 მშობლის ეკლესიის კუთვნილებად ქცეულა, მაგრამ ამ ეკლესიის იგი დაუკარ-  
 გავს, შემდეგ მეფე ალექსანდრეს უპოვია და ეკლესიისათვისვე დაუბრუნებია.  
 ამის შესახებ გვაუწყებს ცალკე ფურცელზე (ტაბ. 11) კარგად დაცული ნუსხა-  
 ხუცური წარწერა, რომელიც ქარაგმების გახსნით ასე იკითხება:

„ადიდენ ღმერთო და ყოვლად წმიდაო არხლისა ღვთისმშობელ-  
 ო, ორთავე შინა ცხორებათა პატრონი მეფე  
 ალექსანდრე, რომელმან მოიძია წმიდაჲ ეს ოთხ-  
 თავი დაკარგული და გამოწირული და აწ  
 ახლად შესწირა და მოაკენა არხალს  
 ყოვლად წმიდასა ღვთისმშობელსა. ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელ-  
 ო, მეოხ და მფარველ ექმენ წინაშე ძისა შენი-  
 სა პატრონსა მეფესა ალექსანდრეს, ამინ,  
 და დღეგრძელობით ცოდვანი მისნი შეუნდენს ღმერთმან“.

არხალის ეკლესია სხვა წყაროებიდან ცნობილი არ არის. მას არც  
 ვახუშტი ბატონიშვილი იხსენიებს თავისი საქართველოს გეოგრაფიის ტექსტში,  
 მაგრამ მის რუკაზე კი აღნიშნულია (იხ. ბროსეს გამოცემა, ტაბ. 4). აღნიშ-  
 ნულია აგრეთვე 1898 წლის ხუთვერსიან რუსულ რუკაზე, მდინარე ივრის  
 მარცხენა ნაპირას, თიანეთის ახლოს. ჩემი დავალებით იროდიონ სონდულა-

შვილმა ინახულა ის ადგილი 1916 წ. სექტემბერში და შემდეგი ცნობა გადმომცა: ამ სახელის მქონე ადგილი არის დაბა თიანეთის რაიონში, ივრის მარჯვენა ნაპირას. თიანეთიდან დაახლოვებით 5 კილომეტრის მანძილზე ყოფილა მონასტერი. თვით სამონასტრო ეკლესია იმ დროს თურმე უკვე აღარსადა ჩანდა, გადარჩენილი იყო სამრეკლო და სხვა სამონასტრო შენობათა მხოლოდ ნანგრევები.

შესაძლოა, არხალი და მისი ღვთისმშობლის ეკლესია შეიცავდა პალატის მონასტერს, რომელიც ზემომოყვანილ მინაწერშია მოხსენებული. ეტყობა, ეს მონასტერი თვალსაჩინო ყოფილა და იქ არსებული აკადემია ან სემინარია, რომელსაც თავისი ხელმძღვანელი, „მოძღვართ-მოძღვარი“ ჰყოლია. საჭიროა, რომ ჩვენმა ახალგაზრდა მეცნიერებმა გამოიკვლიონ ამ ადგილებისა და საზოგადოდ თიანეთის რაიონის ძეგლები.

ახლა საინტერესოა საკითხი, თუ რომელი ალექსანდრე მეფე არის მოხსენებული ზემომოყვანილ წარწერაში? წარწერა, ხელის მიხედვით, XV—XVI საუკუნეთა ადრინდელი არ უნდა იყოს. მეორე მხრით, თიანეთის რაიონი კახეთს ეკუთვნის და ამიტომ აქ უნდა იხსენიებოდეს კახთა ერთ-ერთი მეფე, ან ალექსანდრე I (1476—1511), ან ალექსანდრე II (1574—1605). უფრო კი უკანასკნელია საფიქრებელი.

ჩვენთვის უცნობია, თუ როდის და რა გზით მოხვდა ვატიკანის ბიბლიოთეკაში ეს სახარება.

სახარებას სხვა, მერმინდელი ხელით ნაწერი მინაწერებიცა აქვს. ჩვენს მე-7 ფოტო-სურათზე (ტაბ. 7) ჩანს ორი მინაწერი: ერთი ნუსხა-ხუცურია და მეორე, მის ქვემოთ, მხედრული. ორივე XVI საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. ორივე წარწერის დამწერლობა უმეტრულია, ნამეტნავად პირველისა, რომლის ბოლო აღარ განირჩევა. შინაარსითაც ორივე ერთგვარია. მათში ბეროდავითი იხსენიება.

ნუსხა-ხუცური მინაწერი:

„წმიდანო ღმრთისანო, ლოცვა ყავითა  
ამათისა თავისათუსა საწყალობელისა ბერი-  
სა დავითისათვის ათვისა (sic). რამანცა ლმოზიერა-  
და შენდობითა მომიკსენოთა, თქუნე-  
ცა ნუ დაგაკლოსა უფალმახ. აწა საყუარელ-  
ნო ძამანო (sic) მაშობელთა (sic) ჩემთათისა-  
ცა ლოცავ (sic) ყავთ. რომენაცა (sic) გულსა-  
მოდაგინედა აკსენეთა, უფალმანა თ-  
თქ(უნე)აცა მოგიხსანესა (sic)...“

მხედრული მინაწერი:

„მწარედ ცოდვილსა და  
საწყალობელსა ყოველთა  
ცოდვილთა უნარჩევსა ბერ-  
სა დავითსა სახელისა დების-

ა უღირსა შეუნდენეს ღმე-  
რთამანა. პატიოსანნო მონაძღვარ-  
ნო და მღდელნო, ვინცა ვინ  
მიემთხვივნეთა ამა სულთა განმან-  
თლებელსა ღმთისათვის გვევდ-  
რები (ლოცვა ყავთ)...“

მე-15 ფოტო-სურათზე (ტაბ. 15), XVII—XVIII ს. ს. ნუსხა-ხუცურიით.  
სწერია:

„ყოველთა ადამი-  
სტომთა უცოდ-  
ვილესსა და უ-  
ნარჩევსსა<sup>1</sup> ხე-  
რხეულისძესა  
იონასა შეუნდენეს ღმერთმან  
ამინ. მათსა მოძღვარსა პახ-  
ომეს შეუნდენეს ღმერთმან, ამინ“.

შემდეგ ერთი სტრიქონი მხედრულად სწერია:

„ქ. ყოველთა ადამის ტომთა“ (სხვა არაფერი);

ეს ფურცელი, როგორც აღენიშნეთ, პალიმფსესტია.

მე-8 ფოტო-სურათზე გამოხატული გვერდის ქვემო აშიაზე (ტაბ. 8) მხედ-  
რულით (არა უგვიანეს XVI საუკუნისა) სწერია:

„გლახაკისა დავითისათუისა ლოცვა ყავთ  
და უფალმან თქუენცა ნუ დაგაკლოს“.

მე-9 ფოტო-სურათზე (ტაბ. 9) ქვემოთ სწერია ჯერ ნუსხა-ხუცური ხელით.  
(არა უგვიანეს XVII ს-სა):

„სახელითა ღვთისაჲთა, მამისა, ძისაჲთა და  
სულისა წმიდისაჲთა შემოგწირე“ (სხვა არაფერი).

შემდეგ მხედრულით (იმავე დროისა):

„წქ. მწარედ ცოდვილსა და სა-  
წყალობელასა (sic) დავითსა  
ცოდვანი მისნი“ (სხვა არაფერი).

ამავე ფოტო-სურათზე ვხედავთ, რომ ტექსტის პირველი სვეტის პარა-  
ლელურად მხედრულად, ერთობ დამახინჯებულად, სწერია წინადადება, რომ-  
ლის აზრი ასეთი უნდა იყოს:

„ღმერთო (ღამერთა) მამასა  
და ღედასა მისსა  
გულაქანასა შეუნდოს ღმერთმან.  
ვინცა შენდობა ბრძანოთ, თქვენცა“.

<sup>1</sup> დედანში სწერია: „ურჩევსსა“.

მე-3 ფოტო-სურათზე აგრეთვე დამახინჯებული მხედრულით სწერია (ტაბ. 3).

„ღმერთო  
აცხონე მო  
ძღვარა ოანას (უნდა იყოს: „მოძღვარი იონა“)“.

მე-19 ფოტო-სურათზე დიდრონი ასომთავრულით მიწერილია:

„ჯუი ქესი  
მოწამემ  
ან შენ მ  
ნა უფალ(ო)  
ღვაწლი“.

## II. ლავითნი

მეორე წიგნისა ხუთი ფოტო-სურათი მივიღეთ. ეს არის ფსალმუნო და ვითისი, რომელსაც, როგორც ჩანს, ბოლოს დართული ჰქონია სამთვარიო წიგნი. იგი ნაწერია ქალაღზე, XVII—XVIII ს.ს. მხედრულით.

ხუთ გვერდზე მოთავსებულია ფსალმუნთა ტექსტი (ტაბ. 20, 21, 22), რომელიც იწყება ასე:

„ქ. აქა იწყებინა (sic) წმიდანი ესე და ვითნი  
ყოველთა დღეთა და ღამეთა საკითხაენი.  
ფსალმუნი და ვითისი.  
ნეტარ არს კაცი...“

ორი გვერდი შეიცავს სამთვარიო წიგნის ტექსტს, ხოლო ერთი დაუწერელი ყოფილა და ზედ უწნო მხედრული ასოებითაა დაჯღაბნილი (ტაბ. 23, 24).

ტექსტი იწყება სიტყვებით:

„... ანასდათ მოკედეს: ოცდარვასა:  
კარგია: ოცდა ცხრასა და ოცდა  
ათსა ავი არის:  
სათვალავი ვარსკვლავისა:  
ერთსა მთვარისასა ვარსკვლავი  
აღმოსავლეთს არის: ორსა აღმ  
ოსავლეთსა  
და სამხარს შუა...“

უკანასკნელი ფურცელი იწყება ასე:

„აქა კელის გახსნა: ერთსა მთვარისასა კარგია, ორსა და სამსა  
არ ვარგა: ავად გაკედეს:“.

## Две грузинские рукописи Ватиканской библиотеки: пергаментное Четвероевангелие и Псалмы Давида на бумаге<sup>1</sup>

(Краткое содержание статьи на грузинском языке)

Нижеприведенные сведения об этих рукописях основаны на фотоснимках, полученных в Тифлисе в мае 1897 г. от графа Трубецкого, тогдашнего русского посла в Риме. Граф Трубецкой был в дружеских отношениях с известной грузинской общественной деятельницей, Марией Вахтанговной Орбелиани, которая по моей просьбе написала Трубецкому, чтобы он распорядился сделать фото-снимки с означенных рукописей (согласно моему списку, посланному ему с письмом).

Трубецкой исполнил просьбу М. В. Орбелиани и прислал 24 фотоснимка, из которых 19 относится к евангелию, а пять к псалмам Давида.

### 1. Пергаментное Четвероевангелие

Как видно по нашим снимкам, рукопись эта дефектна: евангелие от Луки отсутствует целиком; нет и обычных миниатюр евангелистов, при чем неизвестно, пропали они или их не было с самого начала? Зато сохранились все превосходно раскрашенные заставки и концовки. Сохранились также каноны под красиво раскрашенными арками. Их всего 14, а прислан снимок только одного. Некоторые листы евангелия представляют собой палимпсесты (таб. 9, 13, 15, 16, 17): старые тексты стерты и вместо них написаны новые. На одном листе (таб. 15) старое письмо негрузинское, а на других — грузинское церковное. На одном листе (таб. 9) довольно хорошо заметны инициальные буквы асонтаврули.

Вот перечень фотоснимков, с указанием их содержания:

1. Письмо Евсевия к Карриану, написанное красивыми буквами асонтаврули, в раскрашенном четырехугольнике, с крестом сверху и другими украшениями по краям (таб. 1).

2. Продолжение этого письма, с такими же точно украшениями, как на первом снимке (таб. 2).

3. Раскрашенный канон с крестом сверху и другими украшениями по краям (таб. 3).

---

<sup>1</sup> В Ватикане имеется и третья грузинская рукопись, именуемая „Картлис Цховреба“, но, как нам сообщил пок. Георгий Туманишвили, она содержит „Историю Грузии“ Вахушти Багратиони.



4. Начало текста евангелия от Матфея письмом асомтаврули в 2 столбца, с раскрашенной заставкой и одной раскрашенной инициальной буквой (таб. 4).

5. Продолжение текста евангелиста Матфея строчным письмом нусхური, в 2 столбца (таб. 5).

6. Продолжение того-же текста с одной раскрашенной инициальной буквой (таб. 6).

7. Поздние записи письмом нусхური и мхедрули, которые упоминают монаха Давида и его родителей (таб. 7).

8. Начало текста евангелия от Марка с раскрашенной заставкой и с тремя раскрашенными инициальными буквами; письмом нусхური, в двух столбцах (таб. 8).

9. Продолжение текста евангелия от Марка (таб. 9).

10. Конец текста евангелия от Марка, с поздними записями хуцури и мхедрули (таб. 10).

11. Поздняя запись письмом хуцури в 9 строк, которая упоминает царя Александра (таб. 11).

12. Начало текста евангелия от Иоанна с раскрашенной заставкой и с четырьмя раскрашенными инициалами, письмо асомтаврули в 2 столбца (таб. 12).

13. Конец текста евангелия от Иоанна с раскрашенной концовкой и с двумя раскрашенными инициальными буквами. После концовки запись переписчика рукописи, диакона Микеля, в 15 строк, из которых 10 писаны письмом асомтаврули, а 5 письмом нусхური (таб. 13).

14. Указатель дневных чтений с раскрашенной заставкой и двумя раскрашенными инициальными буквами (таб. 14).

15. Поздняя запись Ионы Херхеулидзе, строчным письмом нусхური (таб. 15).

16. Продолжение и конец дневных чтений с небольшой концовкой (таб. 16).

17. Тоже продолжение дневных чтений (таб. 17).

18. Поздняя запись священника дворцового монастыря Георгия, письмом хуцури (таб. 18).

19. Поздние записи крупными буквами асомтаврули (таб. 19).

Приведем теперь перевод наиболее важных записей.

В конце текста евангелиста Иоанна (таб. 13), как мы уже отметили выше, имеется запись переписчика евангелия, которая в переводе гласит:

„Слава Тебе Господи, окончено  
святое четвероевангелие рукою  
недостойного диакона Микеля,  
для духовного брата, доброго

монаха Свимеона. Бог да даст ему в помощь святых евангелистов и предоставит ему пользоваться сим евангелием по воле Бога, аминь. Божие святые, сотворите молитву за сей пичтожный труд, а что упустил, простите. Да убедит Вас Бог, и Христос да простит Вам все прегрешения, аминь“.

Таким образом, переписчиком евангелия является диакон Микель, а заказчиком — добрый монах Свимеон. Время переписки евангелия, к сожалению, не указано, но характер письма асомтаврули и нусхури, а главным образом стиль великолепно раскрашенных канонов, заставок и концовок: равно как раскрашенные инициальные буквы, не оставляют никакого сомнения, что ватиканское евангелие относится к XI веку, точнее ко времени царя Баграта IV (1027—1089). В этом легко убедиться из сравнения этого евангелия с другими евангелиями того же времени, например, с Местийским евангелием (в Сванети) 1033 г., рисунки и образцы записей которого сфотографированы во время моей археологической экспедиции в Сванети в 1910 г. (см. снимки в коллекции Ермакова №№ 17182, 17183, 17195 и 17207). В моей книге „Археологическая экспедиция в Лечхуми и Сванети 1910 г.“ (на груз. языке, 1938 г.) дано полное описание этого евангелия (стр. 279—282).

Евангелие, переписанное для доброго монаха Свимеона, как видно из пространной записи (таб. 18), затем было приобретено священником Георгием, прозванным „учителем учителей Дворцового монастыря“. Новый владелец евангелия просит Бога о спасении своей души и о долголетии своего сына и воспитанника Микеля, а также о спасении своих родителей, отца Георгия, священника, и матери своей Садагани, о помолвании детей своих родителей — Марцвалы, Миндиа, Микеля, Иоанна и Матфея. Затем, как видно, евангелие стало достоянием Архальской церкви Божьей Матери. Церковь, в свою очередь, лишилась евангелия — оно пропало, но было найдено царем Александром и возвращено Архальской церкви. Об этом упоминает запись нусхури (таб. 11), которая в переводе гласит:

„Возвеличьте, Боже и пресвятая Архальская Божья Матерь, в обе жизни патрона царя Александра, который нашел потерянное и похищенное сие четвероевангелие и ныне снова пожертвовал и поднес Пресвятой Архальской Божьей Матери. Пресвятая Богородица, будь ходатайцей и защитницей перед сыном твоим патрону царю Александру, аминь. Бог да даст ему долголетие и простит прегрешения его, аминь“.

Архальская церковь не известна нам по другим грузинским источникам; не упоминает ее и Вахушти Багратиони в тексте Географии Грузии, но сел. Архали указано на его карте № 4 (см. издание Броссе). Сел. Архали обозначено и на русской пятиверстной карте 1898 г., к северу от местечка Тианети, на правом берегу реки Иори. Иродион Сонгулашвили посетил, по моей просьбе, эти места в 1916 г., но ему под названием Архальской церкви проводник указал развалины монастыря на левом берегу реки Иори, в 5 километрах к северу от Тианети. В целости сохранилась только колокольня. Монастырские постройки были все в развалинах.

Других сведений об этом монастыре мы не имеем. Быть может, здесь и находился тот дворцовый монастырь, о котором упоминает вышеприведенная запись. Монастырь, вероятно, был видный и там находилась семинария, во главе которой стояло духовное лицо, „учитель учителей“, каковым титулом именовались в старину в Грузии ректоры академий и главари семинарий.

Теперь возникает вопрос: какой именно царь Александр упоминается в приведенной записи? Характер букв записи нухури не древнее XV—XVI в. С другой стороны, как известно, Тианетский район входил в кахетинское царство, которое в XV в. отделилось от картлийского царства, а поэтому под Александром нашей записи нужно разумеать одного из кахетинских царей — или Александра I (1476—1511), или Александра II (1574—1605), скорее же последнего.


Другие поздние записи нашего евангелия не имеют особого значения.

Не известно, когда и каким образом описанное евангелие попало в ватиканскую библиотеку.

## 2. Псалмы Давида


Вторая грузинская рукопись в Ватикане представляет собой Псалмы Давида. Она писана на бумаге буквами мхедрული XVII—XVIII в. в. (таб. 20, 21, 22). В конце приложено „Самтварио“ (лунни), т. е. указание, какие дни луны „счастливы“ и какие „несчастливы“.

---




ტაბულა № 1.





ტაბულა № 3.



ტაბულა № 4.




ტაბულა № 5.






Handwritten text in Georgian script, likely a manuscript page. The text is arranged in several lines, with some parts appearing to be a list or a series of entries. On the left side, there is a small, simple drawing of a cylindrical object, possibly a barrel or a container, with some internal lines suggesting structure. The handwriting is dense and somewhat cursive, characteristic of historical Georgian manuscripts. The paper shows signs of age and wear.




ტაბულა № 8.




ტაბულა № 9.






ტაბულა № 11.




ტაბულა № 12.








ტაბულა № 14.



ტაბულა № 15.



ტაბულა № 16.

Handwritten text in Georgian script, arranged in two columns. The text is dense and appears to be a religious or historical document. There are several lines of text in each column, with some larger initial letters or markers.

ბ ბ  
 ბ ბ  
 ბ ბ




Handwritten text in Georgian script, located below the decorative border. It consists of several lines of text, possibly a list or a specific section of the document.




ბ ბ  
 ბ ბ

ტაბულა № 17.





ტაბულა № 19.



ტაბულა № 20.









